საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004151

„ 12 " ივნისი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭაურებრივი დინასტიური - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. ნიშიანიძის I ჩიხი №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ბუნდი ჯგო საქართველო" (ს/ს 402098699)
(ფიზიკური პირის შემ
იურ. მის: ქ. თბილისი, ნაღვარევი ხოშარაულის ტყეში №25; დირექტორი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პ

მთავრობის 2020 წლის 19 ივნისის №2-516 ბრძანებით გაცემული

გარემოსდაცვითი გადწყვეტილება;

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004151
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ობიექტი N004151 ადმინისტრაციული შენობისთვის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: ზედამხედველი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

იმერეთის მოდეგიონ-მხარის სამმართველოს ინსპექტორი ნინო კოხუაშვილი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოხუაშვილი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივანენკო ტოყვია

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 24 სექტემბერს, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ ასურეთის მიმდებარედ განთავსებული, შპს „აშენდი აგრო საქართველო“-ს მეღორეობის ფერმის (სადგომების), ცხოველთა სასაკლაოსა და ცხოველური ნარჩენების ინსინერატორის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 ივნისის №2-516 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული, დეპარტამენტის 2024 წლის 12 აპრილის №003913 ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. შპს "აშენდი აგრო საქართველო" ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის მართვას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და 2020 წლის 19 ივნისის №2-516 ბრძანების **მე-11 პუნქტის** მოთხოვნის შესაბამისად. **კერძოდ ნაცრის** ზუსტი შემადგენლობის დადგენამდე, ასევე სახიფათო ნარჩენად კლასიფიცირების შემთხვევაში, არ უზრუნველყოფს ნაცრის დასაწყობებას უსაფრთხოდ, ინსინერატორის შენობაშივე, რომლის ძირი უნდა იყოს მობეტონებული, ხოლო ზედაპირი - გადახურული, რათა დაცული იყოს ატმოსფერული ნალექებისგან და ქარისგან. დროებითი შენახვა უნდა მოხდეს მეტალის თავდახურულ ურნებში, რაც კომპანიის მიერ არ არის შესრულებული. დადგინდა, რომ ადგილზე ცხოველთა სადგომების ტერიტორიაზე განთავსებული ინსინერატორის შენობის მიმდებარედ, ღია ცის ქვეშ, მოწყობილია მეტალის ორი სათავსი, სადაც ინახება პოლიეთილენის ტომრებში ჩაყრილი, ცხოველური ნარჩენების ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ფერფლი. ამასთან, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული ნარჩენი იდენტიფიცირებულია როგორც სახიფათო (2024 წლის 12 აპრილის №003913 ადმინისტრაციული მიწერილობის **№2 დანართის მე-2 პუნქტი**);

2. კომპანიამ საწარმოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არ უზრუნველყო ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა (2024 წლის 12 აპრილის №003913 ადმინისტრაციული მიწერილობის **№2 დანართის მე-3 პუნქტი**);

3. შპს "აშენდი აგრო საქართველო"-ს არ გააჩნია სამინისტროსთან შეთანხმებული მოქმედი ნარჩენების მართვის გეგმა (2024 წლის 12 აპრილის №003913 ადმინისტრაციული მიწერილობის **№2 დანართის მე-4 პუნქტი**);

4. შპს "აშენდი აგრო საქართველო" არ ასრულებს 2024 წლის 12 აპრილის №003913 ადმინისტრაციული მიწერილობის **№2 დანართის მე-5 პუნქტით** გათვალისწინებულ მოთხოვნას. კერძოდ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 12 დეკემბრის №21/12595 წერილით წარმოდგენილი კორესპონდენციით ირკვევა, რომ შპს "აშენდი აგრო საქართველო"-ს 2023 წლის 22 ნოემბრის №41693 წერილით, წარდგენილია ინსინერატორების ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნაცრის შემადგენლობის დადგენის მიზნით ჩატარებული ანალიზის შედეგები, თუმცა არ არის წარდგენილი ანალიზის შედეგების საფუძველზე, ნარჩენების კლასიფიცირებისა და ნაცრის მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია. აღნიშნული შენიშვნების შესახებ, შპს "აშენდი აგრო საქართველო"-ს ეცნობა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 07 მარტის №21/2382 წერილით, რომლითაც **კომპანიას მიეცა 3 თვის ვადა,** შენიშვნების გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტების სააგენტოში წარსადგენად, თუმცა კომპანიას მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები სააგენტოში არ წარუდგენია;

5. 2024 წლის 12 აპრილის №003913 ადმინისტრაციული მიწერილობის **№2 დანართით განსაზღვრულ ვადაში,** კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, არ მიუმართავს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის, რაც დასტურდება სააგენტოს 2024 წლის 12 დეკემბრის №21/12595 წერილით.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 17 დეკემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „აშენდი აგრო საქართველო"-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №091142 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 18 თებერვლის №4/1-25 დადგენილებით, შპს „აშენდი აგრო საქართველო" სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აშენდი აგრო საქართველო“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 12 ივნისის №004151 ადმინისტრაციული მიწერილობა.

შპს „აშენდი აგრო საქართველო“-ს მეღორეობის ფერმის (სადგომების), ცხოველთა სასაკლაოსა და ცხოველური ნარჩენების ინსინერატორის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 ივნისის №2-516 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შემუშავებული, დეპარტამენტის 2024 წლის 12 აპრილის №003913 ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „აშენდი აგრო საქართველო“ **ვალდებულია:**

1. ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის მართვა განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და 2020 წლის 19 ივნისის №2-516 ბრძანების **მე-11 პუნქტის** მოთხოვნის შესაბამისად, **რისთვისაც კომპანია ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად,** ზუსტი შემადგენლობის დადგენამდე, ასევე სახიფათო ნარჩენად კლასიფიცირების შემთხვევაში, უზრუნველყოს ნაცრის დასაწყობება უსაფრთხოდ, ინსინერატორის შენობაშივე, რომლის ძირი უნდა იყოს მობეტონებული, ხოლო ზედაპირი - გადახურული, რათა დაცული იყოს ატმოსფერული ნალექებისგან და ქარისგან. დროებითი შენახვა უნდა მოხდეს მეტალის თავდახურულ ურნებში;

2. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს** 1 (ერთი) **თვის ვადაში** უზრუნველყოს, ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად და სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა. ამასთან, ნარჩენების მართვა მუდმივად განახორციელოს სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის, გზშ ანგარიშის, ნარჩენების მართვის კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად (2020 წლის 19 ივნისის №2-516 **ბრძანების მე-8 პუნქტი);**

3. **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს** 1 (ერთი) **თვის ვადაში** უზრუნველყოს, ინსინერატორებში წარმოქმნილი ნაცრის ზუსტი შემადგენლობის დადგენა, ანალიზის შედეგების საფუძველზე ნარჩენების კლასიფიცირება „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, **ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს წარმოქმნილი ნაცრის მართვის შესახებ დეტალური ინფორმაციის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა (2020 წლის 19 ივნისის №2-516 **ბრძანების მე-10 პუნქტი);**